



№ 1გ/293-17



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

01 მარტი 2017 წელი
თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2017 წლის 21 თებერვლის განჩინებაზე, ბრალდებულ **ზ. ბ.-ს** ინტერესების დამცველის, ადვოკატ **გ. კ.-ს** საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მე-2 მთავარი სამმართველოს (ორგანიზებულ დანაშაულთა ბრძოლის) პირველი სამმართველოს მე-2 განყოფილების წარმოებაში სისხლის სამართლის №009090117001 საქმე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

საქმის მასალებიდან გამომდინარე, **ზ. ბ.** და **რ. გ.** აღიარებენ „ქურდულ სამყარო“-ს და აქტიურად მოქმედებენ მისი მიზნების განსახორციელებლად, მოქმედებენ „ქურდულ სამყარო“-ში დადგენილი წესების შესაბამისად, მონაწილეობენ ე.წ. „ქურდულ გარჩევებში“ და აქტიური კავშირი აქვთ „ქურდული სამყარო“-ს წევრებთან, კერძოდ: **ზ. ბ.** შპს „კ. გ.“-ს კუთვნილი, ქ. თბილისის მიკროავტობუსის **NX**-ე სამარშრუტო ხაზის მოიჯარე მძღოლ - **კ. კ.-ს**, აღნიშნულ სამარშრუტო ხაზზე მუშაობის სანაცვლოდ რამოდენიმე წლის განმავლობაში, სისტემატიურად უკანონოდ ართმევდა ფულად თანხას. 2017 წლის იანვრის თვეში, **კ. კ.-მ** **ზ. ბ.-ს** შეუწყვიტა ფულადი თანხის გადახდა, რის შემდეგაც **ზ. ბ. კ. კ.-სთან** არსებული დავის გადაწყვეტის მიზნით, დაუკავშირდა **რ. გ.-ს**, რომელსაც სთხოვა, თავისთვის სარგებლის, უპირატესობის მიღების მიზნით მოეწყობა ქურდული გარჩევა. 2017 წლის 16 იანვარს, **რ. გ.-მ** და **ზ. ბ.-მ**, ამ უკანასკნელისათვის სარგებლის მიღებისა და დაზარალებულ **კ. კ.-ზე** ზეგავლენის მოხდენის მიზნით ქ. თ.-ში, **გ.-ს** რაიონში მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში მოაწყვეს ე.წ. „ქურდული გარჩევა“, მობილური ტელეფონის მეშვეობით დაუკავშირდნენ ე.წ. „კანონიერ ქურდ“ - **ლ. ხ.-ს**, რომელსაც მოახსენეს აღნიშნული დავის შესახებ, რის შემდეგ მომდევნო დღეს **რ. გ.** და **ზ. ბ.** კომპიუტერულ სისტემაში პროგრამა „SKYPE“-ის მეშვეობით დაუკავშირდნენ **ლ. ხ.-ს**, რომელმაც დავაში ჩართული მხარეების მოსმენის შემდეგ გადაწყვიტა, რომ **კ. კ.-ს** **ზ. ბ.-სათვის** უნდა ეხადა ფულადი თანხა.

ზ. ბ. დაკავებული იქნა 2017 წლის 23 იანვარს, წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223¹-ე მუხლის პირველი ნაწილით და თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 იანვრის განჩინებით, აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.



მოცემულ საქმეზე, 2017 წლის 21 თებერვალს, საქართველოს მთავარი პროკურატურის შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის პროკურორმა ვახტანგ ცალუღელაშვილმა შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ყადაღის დადება **ზრალდებულ ზ. ბ.-ს, ზრალდებულის დედის - ნა. ბ.-ს, ზრალდებულის დის - მ. ბ.-ს და ზრალდებულის მამის - ნი. ბ.-ს სახელზე რიცხულ ქონებაზე.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2017 წლის 21 თებერვლის განჩინებით პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო:

1. ზრალდებულ ზ. ბ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX) ქონებას: 1) საცხოვრებელ ბინას, საკადასტრო კოდით - XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, მისამართი: ქ. თ., დ. მ., კვარტალი XX, კორპუსი X, ბინა XX; 2). არასაცხოვრებელ ფართს, საკადასტრო კოდით - XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, მისამართი: ქ. თ., ა. წ.-ს გამზირი NXXX, X სართული; 3). მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდით XX.XX.XX.XXX, მისამართი: გ.-ს რაიონი, სოფელი ა.; 4). სატრანსპორტო საშუალებას - „MINI COOPER“ (VIN:XXXXXXXXXXXX) სახელმწიფო სანომრე ნიშნით XX-XXX-XX; 5). სატრანსპორტო საშუალებას - „MERCEDES-BENZ 308 D“ (VIN:XXXXXXXXXXXX) სახელმწიფო სანომრე ნიშნით XXX-XXX; 6). სატრანსპორტო საშუალებას - „VOLKSWAGEN GOLF IV 1.6“ (VIN:XXXXXXXXXXXX) სახელმწიფო სანომრე ნიშნით XXX-XXX.

2. ზრალდებულის დედის - ნა. ბ.-ს (XXXXXXXXXXXX) ქონებას: 1). მშენებარე ბინას, საკადასტრო კოდით - XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, მისამართი: ქ. თ., კ.-ს ქუჩა NXX, ბინა NXX; 2). საცხოვრებელ ბინას, საკადასტრო კოდით - XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, მისამართი: ქ. თ., ზ.-ს უბნის დასახლება, მიკრორაიონი X, კვარტალი X, კორპუსი XX, ბინა XXX;

3. ზრალდებულის დის - მ. ბ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXX) ქონებას: 1). საცხოვრებელ ბინას, საკადასტრო კოდით - XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, მისამართი: ქ. თ., ზ.-ს უბნის დასახლება, მიკრორაიონი X, კვარტალი X, კორპუსი XX, ბინა XXX; 2). სატრანსპორტო საშუალებას „MERCEDES-BENZ SPRINTER 315 CDI“ (VIN:XXXXXXXXXXXX) სახელმწიფო სანომრე ნიშნით XX-XXX-XX; 3). სატრანსპორტო საშუალებას „BMW X5“ (VIN:XXXXXXXXXXXX) სახელმწიფო სანომრე ნიშნით XX-XXX-XX; 4). სატრანსპორტო საშუალებას „MERCEDES-BENZ C 200 CD“ (VIN:XXXXXXXXXXXX) სახელმწიფო სანომრე ნიშნით XX-XXX-XX;

4. ზრალდებულის მამის - ნი. ბ.-ს (პ/ნ XXXXXXXXXXXXXXX) ქონებას: 1). ავტოფარების შენობას, საკადასტრო კოდით - XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, მისამართი: ქ. თ., ზ.-ს უბნის დასახლება, მიკრორაიონი X, კვარტალი X, კორპუსი XX, შენობა NXX; 2). ავტოფარების შენობას, საკადასტრო კოდით - XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX, მისამართი: ქ. თ., ზ.-ს უბნის დასახლება, მიკრორაიონი X, კვარტალი X, კორპუსი XX, შენობა NXX; 3). სატრანსპორტო საშუალებას „MERCEDES-BENZ ML 320 CDI“ (VIN:XXXXXXXXXXXX); 4) სატრანსპორტო საშუალებას „RAF 2203“ (ძრავი: 430771, მარა: 92210) სახელმწიფო სანომრე ნიშნით XXX-XXX;

პროკურორის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სასამართლომ მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლზე.

აღნიშნული განჩინება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა ზრალდებულ ზ. ბ.-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. კ.-მ, რომელიც ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2017 წლის 21 თებერვლის განჩინების გაუქმებას.

საჩივარში მითითებულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ არ გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან. მოსამართლის მიერ ყადაღის მიზანშეწონილობის დასასაბუთებელ არგუმენტად ქონების შესაძლო



დანაშაულებრივი გზით შეძენის მოყვანა არარელევანტურია და არ შეესაბამება **ზ. ბ.-ს** ბრალდების საქმეში არსებულ სავარაუდო მტკიცებულებებს. საქმის მასალებში არცერთი თუნდაც სავარაუდო მტკიცებულება არ მოიპოვება იმისა, რომ **ზ. ბ.-მ** ან რომელიმე მისმა ოჯახის წევრმა დანაშაულის შედეგად მოიპოვეს რაიმე სახის ქონება ან ფულადი სახსრები. არცერთი მტკიცებულება არ არის საქმეში წარმოდგენილი იმის დასადასტურებლად, რომ **ზ. ბ.** წარსულშიც ჩართული იყო რაიმე სახის კრიმინალურ გარჩევებში, ჰქონდა კავშირი ქურდულ სამყაროსთან ან საერთოდ იყო შემჩნეული კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობაში. აბსოლუტური უმრავლესობა ქონებებისა, რომლებსაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის მიერ დაედო ყადაღა, შეძენილია **ზ. ბ.-ს** მიმართ ბრალდების დადგენილებაში აღწერილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედების ჩადენამდე მრავალი წლის წინ. სავარაუდო დანაშაული (ქურდულ გარჩევაში მონაწილეობა) მომხდარია 2017 წლის 16-17 თებერვალს. გაუგებარია რამ შეუქმნა მოსამართლეს საფუძვლიანი ვარაუდი ასეთი ფაქტობრივი გარემოებების ფონზე, როდესაც მიიღო გადაწყვეტილება, მაგალითისთვის **ზ. ბ.-ს** დედის **ნ. ბ.-ს** საკუთრებაში არსებულ 55 კვ/მ საცხოვრებელ ბინაზე ყადაღის დადების შესახებ, მაშინ როდესაც აღნიშნული უძრავი ქონება შეძენილია 1999 წლის 27 მაისს, **ზ. ბ.-ს** კუთვნილი 39,5 კვ/მ ფართი შეძენილია 2007 წლის 31 მაისს, **ზ. ბ.-ს** ოჯახის საცხოვრებელი ბინა, რომელიც შეძენილია 2009 წლის 22 მაისს. ყველა ქონება, რომელზეც მოსამართლის განჩინებაშია საუბარი შეძენილია სავარაუდო დანაშაულის ჩადენამდე მრავალი წლის წინ და რაც უფრო მნიშვნელოვანია, თვით ეს სავარაუდო დანაშაული საერთოდ არ არის დაკავშირებული დანაშაულებრივი გზით წარსულში რაიმე სახის დანაშაულებრივი სარგებლის მიღებასთან. ყადაღის განჩინებაში მითითებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნაწილი კი მრავალი წლის წინ გასხვისებული ან ამორტიზებულია და საერთოდ ბუნებაში არ არსებობს, ნაწილი კი ანალოგიურად შეძენილია წინა წლებში. ამასთან, მოსამართლე არ ასახელებს რა ნიშნით ადებს ყადაღას **ზ. ბ.-ს** ახლო ნათესავების ქონებას და უსაგნოდ მსჯელობს, რომ ყველა ამ პირის უძრავ-მოძრავი ქონება შეიძლება იყო დანაშაულებრივი გზით შეძენილი.

საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივარი ბრალდებულის ქონებრივი უფლებების შეზღუდვის კანონიერების შემოწმების კუთხით შემოტანილია უფლებამოსილი პირის (ბრალდებულის ადვოკატის) მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და თავად საჩივარი იძლევა მასში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა რა საჩივარი და წარმოდგენილი მასალები, მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადაამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია, ასევე, ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ეს კორუფციული, რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონებაა ან/და ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხსენებული მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს.

ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სხვა საფუძვლებთან ერთად, ითვალისწინებს ყადაღის დადებას ქურდული სამყაროს წევრის ქონებაზე ან/და თუ ქონება დანაშაულებრივი გზით არის



მოპოვებული, ასევე იმ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებაზე, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება.

შესაბამისად, აღნიშნულზე უნდა არსებობდეს საკმარისი მონაცემები, ხოლო საკმარისი მონაცემების არსებობა შინაარსობრივად უთანაბრდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. ამდენად, გამოძიების ეტაპზე ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, მათ შორის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების გაცემისას, სასამართლო ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, რაც მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტისაგან განსხვავებით, არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით, დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობაში.

კონკრეტულ შემთხვევაში, საგამოძიებო კოლეგია იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს ბრალდებულის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე და განმარტავს, რომ ფაქტებისა და ინფორმაციის (მოწმეთა გამოკითხვის ოქმების, დათვალიერების ოქმების, ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის, ნივთიერი მტკიცებულებების და საქმეში არსებული სხვა მასალების) ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს იძლევა საფუძველს დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ ბრალდებული შესაძლოა წარმოადგენდეს „ქურდული სამყარო“-ს წევრს და ქონება, რომელიც მის სახელზე ირიცხება შესაძლოა მოპოვებული იყოს დანაშაულებრივი გზით, რაც რეალურს ხდის ამ ქონებათა გადამალვის თუ გასხვისების შესაძლებლობას. ამასთან, მოწმეთა ჩვენებებიდან გამომდინარე, რომლებიც მიუთითებენ იძულებით, ყოველდღიურად უკანონოდ გადახდილი თანხების ოდენობაზე, საფუძვლიანია ვარაუდი, რომ ამ ეტაპზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სრულად მოძიება ვერ მოხერხდა.

ამდენად, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ზემოხსენებული ნორმებისა და ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი იძლევა ბრალდებულის სახელზე რიცხულ (მის საკუთრებაში არსებულ) მთლიან ქონებაზე ყადაღის დადების საფუძველს, რის გამოც ბრალდებულ **ზ. ბ.-ს** ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება არის კანონიერი.

რაც შეეხება, ბრალდებულთან დაკავშირებული პირების ქონებაზე ყადაღის დადების საკითხს, აღნიშნულზე საგამოძიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინება უნდა გადაეცეს გასაჩივრების უფლების მქონე პირს, ხოლო, **განჩინების გასაჩივრება შეუძლიათ პროკურორს, ბრალდებულს ან/და პირს, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ამ განჩინების შედეგად, აგრეთვე მათ ადვოკატებს.**

მითითებული ნორმა გასაჩივრების უფლებამოსილ სუბიექტად პროკურორის გარდა, ასევე მოიაზრებს ბრალდებულსა და იმ პირს, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ამ განჩინებით და აგრეთვე მათ ადვოკატებს. შესაბამისად, ბრალდებული და ის პირი, რომლის უფლებებიც შეიძლება დაირღვეს სასამართლოს განჩინებით, საპროცესო კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სუბიექტებს და მათ (შესაძლოა ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ) სხვადასხვა სამართლებრივი ინტერესი გააჩნიათ. აღნიშნულიდან გამომდინარე ბრალდებულის ადვოკატს უფლება აქვს გაასაჩივროს განჩინება სწორედ მისი დაცვის ქვეშ მყოფის ქონებრივი უფლებების შესაძლო დარღვევის ნაწილში, ხოლო ის პირი, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს (ამ შემთხვევაში ბრალდებულთან დაკავშირებული პირები) უფლებამოსილნი არიან განჩინება გაასაჩივრონ უშუალოდ ან კონკრეტულად თავიანთი ინტერესების დამცველი ადვოკატების მეშვეობით, დამოუკიდებლად. ასეთ ვითარებაში, ბრალდებულის ადვოკატი იმავდროულად მხოლოდ ბრალდებულის დაცვის ორდერის საფუძველზე, ვერ განახორციელებს სხვა პირების (ვისაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს განჩინება) ინტერესების დაცვას, თუ მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ იქნება მოწესრიგებული და დადასტურებული შესაბამისი წესით. მით უფრო, რომ საპროცესო კანონმდებლობა



ნათლად განსაზღვრავს, რომ სისხლის სამართალწარმოებაში დაინტერესებული პირის ინტერესების დამცველი შეიძლება იყოს მხოლოდ ადვოკატი. კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატი გ. კ. წარმოადგენს მხოლოდ ბრალდებულ ზ. ბ.-ს ინტერესების დამცველს და რაიმე დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ადვოკატ გ. კ.-ს უფლებამოსილებას, რომ განახორციელოს ასევე - ნი. ბ.-ს, ნა. ბ.-ს და მ. ბ.-ს ინტერესების დაცვა წარმოდგენილი არ არის. აღნიშნული კი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ ეტაპზე ბრალდებულთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ პირებს საჩივარი არ წარმოუდგენიათ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. კ.-ს საჩივარი ბრალდებულთან დაკავშირებულ პირების - ნი. ბ.-ს, ნა. ბ.-ს და მ. ბ.-ს ქონებაზე დადებული ყადაღის გაუქმების მოთხოვნის ნაწილში დაყენებულია, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ, რის გამოც საგამოძიებო კოლეგია სამართლებრივად მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება ხსენებულ ნაწილში არაუფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენილი საჩივრის მოთხოვნაზე.

სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია აქვე აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 158-ე მუხლის თანახმად, ქონებას ყადაღა ედება განაჩენის აღსასრულებლად მიეცევა მდე, სისხლის სამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტამდე, რითაც არ ილახება კონკრეტული პირის კონსტიტუციით აღიარებული საკუთრების უფლება, ვინაიდან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი ნათლად მიუთითებს და ითვალისწინებს, რომ საკუთრების უფლება შეიძლება შეიზღუდოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. შესაბამისად, ქონებაზე ყადაღის დადება არ იწვევს საკუთრების უფლების გაუქმებას ან ჩამორთმევას, არამედ იგი, როგორც მხოლოდ დროებითი ღონისძიება გამოიყენება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად და გამომდინარეობს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბრალდებულის ქონებაზე, რომლის დაყადაღებაც მიზანშეწონილად და მართლზომიერად იქნა მიჩნეული საგამოძიებო კოლეგიის მიერ, არ არსებობს ყადაღის დადების გამომრიცხავი გარემოებები და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის მოთხოვნებთან წინააღმდეგობა. აღნიშნული მუხლის თანახმად, არ შეიძლება ყადაღა დაედოს პირისათვის საჭირო კვების პროდუქტებს, სათბობს, პროფესიული საქმიანობის ინვენტარს და სხვა საგნებს, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის ნორმალურ სასიცოცხლო პირობებს, აგრეთვე „საგადასახადო სისტემისა და საგადასახადო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფინანსურ გირაოს (ფინანსური გირაოს საგანს) და მნიშვნელოვანი სისტემის მონაწილის ანგარიშსწორების ანგარიშს. წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალების სამართლებრივი ანალიზი და საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით ქონებათა შესახებ საქმეში არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ ქონება, რომელზეც ყადაღის დადება ძალაში იქნა დატოვებული, არ მიეკუთვნება ჩამოთვლილ საგანთაგან არცერთს, ხოლო ყადაღის დადების მოთხოვნა გამომდინარეობს ამ საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად საკმარისი ფაქტობრივი საფუძვლებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-154-ე, 156-158-ე, 207-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. ბრალდებულ ზ. ბ.-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. კ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;



2. უცვლელი დარჩეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნიკოლოზ მარგველაშვილის 2017 წლის 21 თებერვლის განჩინება;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი მიროტაძე